

## განათლების სამართაშორისო სტანდარტი 8

ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე პასუხისმგებელი  
გარიგების პარტნიორების პროფესიული კომპეტენტურობა (გადასინჯული)

### შინაარსი

პუნქტები

#### შესავალი

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო ..... 1-5

ძალაში შესვლის თარიღი ..... 6

მიზანი ..... 7

მოთხოვნები ..... 8-9

#### ახსნა-განმარტებითი მასალა

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ  
ოფიციალურ დოკუმენტებში მოცემული ტერმინების განმარტებების ციტირება..... ა1

წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო..... ა2-ა16

მიზანი..... ა17-ა18

მოთხოვნები..... ა19-ა31

## შესავალი

### წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები ა2–ა16)

1. წინამდებარე განათლების საერთაშორისო სტანდარტი (გსს) ადგენს მოთხოვნებს პროფესიონალი ბუღალტრების კომპეტენტურობისთვის, რომლის განვითარება და შენარჩუნება მოეთხოვებათ იმ შემთხვევაში, როდესაც პროფესიონალი ბუღალტერი დანიშნულია ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე პასუხისმგებელ გარიგების პარტნიორად<sup>1</sup>.
2. სტანდარტი განკუთვნილია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) წევრი ორგანიზაციებისთვის. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ პროფესიონალი ბუღალტრების უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და პროფესიონალი ბუღალტრებისთვის სამისდღეო სწავლების ვალდებულების შესრულების ხელშეწყობაზე. გსს 7-ის – „*უწყვეტი პროფესიული განვითარება*“<sup>2</sup> (2014) – შესაბამისად ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა ყველა პროფესიონალ ბუღალტერს უნდა მოსთხოვონ უწყვეტი პროფესიული განვითარება ისეთი დონის, რაც ხელს შეუწყობს მათი საშუალო ადგილისა და პროფესიული მოვალეობების შესაფერისი პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებასა და შენარჩუნებას. გსს 8 – „*ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორების პროფესიული კომპეტენტურობა*“ (2016) – ეხება გსს 7-ით განსაზღვრულ ზემოაღნიშნულ მოთხოვნას კონკრეტულად გარიგების პარტნიორთან მიმართებაში. გარიგების პარტნიორის ფუნქციების შესრულებელ პროფესიონალ ბუღალტრებს ევალებათ პროფესიული კომპეტენტურობის განვითარება და შენარჩუნება უწყვეტი პროფესიული განვითარების სათანადო ღონისძიებებით, რაც მოიცავს პრაქტიკულ გამოცდილებასაც.
3. წინამდებარე სტანდარტი განხილულ უნდა იქნეს ბსფ-ის წევრობის ვალდებულების (წვ) დოკუმენტ 1-თან – „*ხარისხის უზრუნველყოფა*“, ასს 220-თან – „*ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი*“ და *ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტ (ხკსს) 1-თან – „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“* – ერთად. ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტი ერთობლიობაში ადგენს პასუხისმგებლობებს ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების, გარიგების პარტნიორებისა და ფირმებისთვის, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემაში. გარდა ამისა, ბევრ იურისდიქციაში შეიძლება მარეგულირებელ ორგანოს ევალებოდეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლის სისტემის ზედამხედველობა. გარიგების პარტნიორის პროფესიულ კომპეტენტურობაზე შეიძლება გავლენას ახდენდეს თითოეული ზემოაღნიშნული დაინტერესებული მხარე.
4. ბსფ-ის წევრი ორგანიზაციები ან სხვა დაინტერესებულ მხარეები წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებს შეიძლება იყენებდნენ ასევე იმ პროფესიონალ ბუღალტრებთან მიმართებითაც, რომლებიც ასრულებენ გარიგების პარტნიორის ანალოგიურ ფუნქციებს გასული პერიოდების სხვა ფინანსური ინფორმაციის აუდიტში, რომელიც ტარდება ასს-ების შესაბამისად, ან სხვა ტიპის მარწმუნებელ და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებში.
5. წინამდებარე სტანდარტსა და პროფესიონალი ბუღალტრებისა და პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების განათლების საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურულ საფუძვლებში (2015) გამოყენებული ძირითადი ტერმინების განმარტებები მოცემულია ბუღალტერთა განათლების

<sup>1</sup>. მოცემული გსს-ის მიზნებისთვის, შემდგომში ტერმინში „გარიგების პარტნიორი“ იგულისხმება პიროვნებები ასს 220-ში – „*ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი*“ – 7(ა) პუნქტში მოცემული განმარტების მიხედვით.

<sup>2</sup>. გსს 7 – „*უწყვეტი პროფესიული განვითარება*“ (2014), მე-12 პუნქტი.

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებულ ტერმინების გლოსარში (2015). გარდა ამისა, სტანდარტის ახსნა-განმარტებით მასალაში გამოიყენება სხვა ტერმინებიც, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებიდან.

**ძალაში შესვლის თარიღი**

6. წინამდებარე სტანდარტი ძალაში შედის 2016 წლის 1 ივლისიდან.

**მიზანი** (იხ. პუნქტები ა17–ა18)

7. სტანდარტის მიზანია მოთხოვნების დადგენა პროფესიული კომპეტენტურობისთვის, რომელიც უნდა განვიითარონ და შეინარჩუნონ პროფესიონალმა ბუღალტრებმა იმ შემთხვევაში, როდესაც ასრულებენ გარიგების პარტნიორის ფუნქციებს.

**მოთხოვნები** (იხ. პუნქტები ა19–ა31)

8. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა პროფესიონალ ბუღალტრებს, რომლებიც გარიგების პარტნიორის ფუნქციას ასრულებენ, უნდა მოსთხოვონ პროფესიული კომპეტენტურობის ისეთი დონის დაუფლება და შენარჩუნება, რომლის დემონსტრირებაც შესაძლებელია „ა“ ცხრილში აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევით (თუმცა, არ შემოიფარგლება მარტო ამით).

9. ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა პროფესიონალ ბუღალტრებს, რომლებიც გარიგების პარტნიორის ფუნქციას ასრულებენ, უნდა მოსთხოვონ ისეთი უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის გავლა, რომლის მეშვეობითაც დაეუფლებიან და შეინარჩუნებენ ამ ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელ /მოთხოვნილ პროფესიულ კომპეტენტურობას.

**ცხრილი ა: სწავლის შედეგები გარიგების პარტნიორის პროფესიული კომპეტენტურობისთვის**

| კომპეტენტურობის სფერო           | სწავლის შედეგები   |
|---------------------------------|--|
| <b>ტექნიკური კომპეტენტურობა</b> |  |
| ა) აუდიტი                       | <ol style="list-style-type: none"> <li>1) ხელმძღვანელობის გაწევა არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენისა და შეფასების პროცესისთვის, აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით.</li> <li>2) არსებითი უზუსტობის რისკებზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ზომების/ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შეფასება.</li> <li>3) იმის შეფასება, აუდიტი ჩატარდა და დოკუმენტურად გაფორმდა თუ არა აუდიტის სათანადო სტანდარტებისა (მაგ. ასს-ების) და შესაფერისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.</li> <li>4) სათანადო აუდიტორული მოსაზრების ჩამოყალიბება და შესაბამისი აუდიტორული დასკვნის შედგენა, მათ შორის აუდიტის ძირითადი საკითხების აღწერა აუდიტორულ დასკვნაში, აუცილებლობის შემთხვევაში.</li> </ol> |

|  |  |
|--|--|
| <p>ბ) ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება</p>        | <ol style="list-style-type: none"> <li>1) იმის შეფასება, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თუ არა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.</li> <li>2) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციებისა და მოვლენების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ახსნა-განმარტების შეფასება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლებისა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.</li> <li>3) ხელმძღვანელობის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებთან დაკავშირებით განხორციელებული განსჯისა და ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილი სააღრიცხვო შეფასებების, მათ შორის რეალური ღირებულების შეფასებების მიზანშეწონილობის შეფასება.</li> <li>4) ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის შეფასება სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის სპეციფიკის, საოპერაციო გარემოსა და ფუნქციონირებადობის უნარის გათვალისწინებით.</li> </ol> |
| <p>გ) კორპორაციული მართვა და რისკების მართვა</p>   | <ol style="list-style-type: none"> <li>1) სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორპორაციული მართვის სტრუქტურებისა და რისკების შესაფასებელი პროცესების შეფასება აუდიტის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით.</li> </ol>  |
| <p>დ) სამეწარმეო გარემო (ეკონომიკური გარემო)</p>   | <ol style="list-style-type: none"> <li>1) შესაბამისი დარგის, მარეგულირებელი და სხვა გარეშე ფაქტორების ანალიზი, რომლებიც გამოიყენება აუდიტორული რისკის შესაფასებლად, მათ შორის ბაზრის, კონკურენციის, პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიისა და გარემოს დაცვის მოთხოვნების.</li> </ol>  |
| <p>ე) საგადასახადო დაბეგვრა</p>                    | <ol style="list-style-type: none"> <li>1) საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებზე რეაგირების მიზნით ჩატარებული პროცედურების შეფასება; ასევე ამ პროცედურების გავლენის შეფასება აუდიტის საერთო სტრატეგიაზე.</li> </ol>   |
| <p>ვ) ინფორმაციული ტექნოლოგიები</p>                | <ol style="list-style-type: none"> <li>1) ინფორმაციული ტექნოლოგიური გარემოს შეფასება ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კონტროლის საშუალებების გამოსავლენად, აუდიტის საერთო სტრატეგიაზე მათი გავლენის განსაზღვრის მიზნით.</li> </ol>   |
| <p>ზ) სამეურნეო სამართალი და ნორმატიული აქტები</p> | <ol style="list-style-type: none"> <li>1) კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების დარღვევის ფაქტების, ან საეჭვო დარღვევების შეფასება, აუდიტის საერთო სტრატეგიასა და აუდიტორულ მოსაზრებაზე გავლენის განსაზღვრის მიზნით.</li> </ol>  |
| <p>თ) ფინანსები და ფინანსური მართვა</p>            | <ol style="list-style-type: none"> <li>1) სამეურნეო სუბიექტისთვის ხელმისაწვდომი დაფინანსების სხვადასხვა წყაროსა და სამეურნეო სუბიექტის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება, აუდიტის საერთო სტრატეგიაზე გავლენის განსაზღვრის მიზნით.</li> <li>2) სამეურნეო სუბიექტის ფულადი სახსრების, ბიუჯეტებისა და პროგნოზების, ასევე საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილებების</li> </ol>  |

|  |  |
|--|--|
|  | შეფასება, აუდიტის საერთო სტრატეგიაზე გავლენის განსაზღვრის მიზნით.  |
| <b>პროფესიული უნარები</b>                                    |  |
| ი) ინტელექტუალური უნარი                                      | 1) აუდიტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გადაჭრა გამოკვლევის, აბსტრაგირებისა და ლოგიკური აზროვნების მეშვეობით და კრიტიკული ანალიზის ჩატარება, სხვადასხვა ვარიანტების განხილვისა და შედეგების გაანალიზების მიზნით.   |
| კ) პიროვნებათაშორისი ურთიერთობისა და კომუნიკაბელურობის უნარი | 1) ქმედითი და სათანადო კომუნიკაცია (ურთიერთქმედება) სამუშაო ჯგუფთან, სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან.<br>2) აუდიტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გადაჭრა, აუცილებლობის შემთხვევაში, ქმედითი კონსულტაციების მეშვეობით.  |
| ლ) პიროვნული უნარები   | 1) მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის სტიმულირება და ხელშეწყობა სხვებისთვის და სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე.<br>2) იყოს მისაბაძი მაგალითი აუდიტის სამუშაო ჯგუფისთვის.<br>3) სამუშაო ჯგუფის წევრებს უწევდეს მენტორობასა და ქოუჩინგს.   |
| მ) ორგანიზაციული   | 1) იმის შეფასება, აუდიტის სამუშაო ჯგუფს, აუდიტორის ექსპერტების ჩათვლით, ერთობლივად გააჩნიათ თუ არა აუდიტის ჩასატარებლად აუცილებელი ობიექტურობა და კომპეტენტურობა.<br>2) აუდიტის პროცესის, (მათ შორის აუდიტის სამუშაო ჯგუფის) მართვა, ლიდერობის უნარისა და პროექტის მართვის უნარების გამოყენებით.   |
| <b>პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა</b>                |  |
| ნ) საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ვალდებულება             | 1) აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა ნებისმიერ საქმიანობაში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე.  |
| ო) პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა               | 1) სკეპტიკური აზროვნებისა და პროფესიული განსჯის გამოყენება აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში და სათანადო დასკვნების გამოტანა, რომლებსაც დაეყრდნობა აუდიტორული მოსაზრება.  |
| პ) ეთიკური პრინციპები  | 1) პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების, კონფიდენციალობისა და პროფესიული ქცევის ეთიკური პრინციპების გამოყენება აუდიტთან მიმართებით და ეთიკური დილემის სათანადოდ გადაჭრის გზების განსაზღვრა.<br>2) აუდიტის პროცესში გამოვლენილი, ობიექტურობისა და დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი საფრთხეების შეფასება და სათანადო დამცავის ზომების განსაზღვრა (და გატარება).<br>3) სამეურნეო სუბიექტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა ეთიკური ვალდებულებებისა და კანონმდებლობის სათანადო დებულებების შესაბამისად. |

**ახსნა-განმარტებითი მასალა**

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებში მოცემული ტერმინების განმარტებების ციტირება (იხ. მე-5 პუნქტი)

ა1. წინამდებარე გსს-ში გამოიყენება შემდეგი ტერმინები, რომლებიც უკვე განმარტებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებში.<sup>3</sup>

**ცხრილი ბ – აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ დამტკიცებული ტერმინების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება გსს 8-ში**

| ტერმინი               | წყარო  | განმარტება   |
|-----------------------|--|--|
| გარიგების პარტნიორი*  | ასს 220 – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“, პუნქტი 7(ა)                              | პარტნიორი ან ფირმაში მომუშავე სხვა პირი, რომელიც პასუხისმგებელია მოცემულ გარიგებასა და მის შესრულებაზე, ასევე დასკვნაზე, რომელიც გაცივმა ფირმის სახელით და ვისაც, აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო უფლებამოსილება მინიჭებული აქვს პროფესიული ორგანიზაციისგან, საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ორგანოსგან.  |
| სამუშაო ჯგუფი         | ასს 220 – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“, პუნქტი 7(დ)                              | კონკრეტული გარიგების შემსრულებელი ყველა პარტნიორი და თანამშრომელი, ასევე ფირმის ან ქსელის ფირმის სხვა თანამშრომლები, რომლებიც პროცედურებს ატარებენ მოცემულ დავალებასთან დაკავშირებით. ამ პიროვნებებში არ იგულისხმება ფირმის ან ქსელის ფირმის მიერ ხელშეკრულებით მოწვეული გარე ექსპერტები. ტერმინი „სამუშაო ჯგუფი“ არ მოიცავს არც დამკვეთის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებს, რომლებიც გარე აუდიტორს უშუალოდ ეხმარებიან აუდიტის ჩატარებაში, ასს 610-ის (გადასინჯული 2013 წელს) – მოთხოვნების შესაბამისად. <sup>4</sup> |
| ფინანსური ანგარიშგება | ასს 200 „დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ | სტრუქტურული სახით წარმოდგენილი გასული პერიოდის ფინანსური ინფორმაცია, მათ შორის, შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები, რაც მიზნად ისახავს   |

3. ზემოხსენებული განმარტებები მოცემულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარში, 2014 წლის გამოცემა, ტომი I.

4. ასს 610 (გადასინჯული 2013 წელს) – „შიდა აუდიტორების სამუშაოს გამოყენება“.

|  |   |   |
|--|---|---|
|  | შესაბამისად“, პუნქტი 13(ვ)  | სამეურნეო სუბიექტის იმ ეკონომიკური რესურსების ან ვალდებულებების შესახებ ინფორმირებას, რომელიც არსებობს დროის გარკვეული მომენტისთვის, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათში მომხდარი ცვლილებების ინფორმირებას, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლების შესაბამისად. შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები, ჩვეულებრივ, შედგება ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან. ტერმინი „ფინანსური ანგარიშგება“, ჩვეულებრივ, ეხება ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს, როგორც ეს დადგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად, მაგრამ ასევე შეიძლება აღნიშნავდეს რომელიმე ერთ ფინანსურ ანგარიშგებასაც. |
| <b>ფირმა*</b>  | ასს 220 „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“, პუნქტი 7(ე)   | ინდივიდუალური პრაქტიკოსი პროფესიონალი ბუღალტერი, პროფესიონალ ბუღალტერთა ამხანაგობა ან კორპორაცია ან პროფესიონალ ბუღალტერთა სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ერთეული.   |
| <b>პროფესიული განსჯა</b>   | ასს 200 „დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“. პუნქტი 13(ლ)  | შესაბამისი პრაქტიკული მომზადების, ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება აუდიტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და ეთიკის სტანდარტების კონტექსტში, აუდიტორის მიერ აუდიტზე გარიგებასთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი სამოქმედო კურსის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებისას.   |
| <b>პროფესიული სკეპტიციზმი</b>  | ასს 200 „დამოუკიდებელი აუდიტორის საერთო მიზნები და აუდიტის ჩატარება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“, პუნქტი 13 (მ) | პოზიცია, რომელიც გულისხმობს კრიტიკულ აზროვნებასა და სიფრთხილის გამოჩენას ისეთ პირობებთან მიმართებით, რომლებიც შეიძლება მიანიშნებდეს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ შესაძლო უზუსტობაზე, ასევე მტკიცებულებების კრიტიკულ შეფასებას.  |
| ტერმინებში „გარიგების პარტნიორი“, „პარტნიორი“ და „ფირმა“, საჭიროების შემთხვევაში, იგულისხმება სახელმწიფო სექტორის ეკვივალენტური ცნებები. |   |   |

**წინამდებარე სტანდარტის მოქმედების სფერო (იხ. პუნქტები 1–5)**

ა2. პროფესიული კომპეტენტურობის ტერმინის დახასიათება და კლასიფიცირება შესაძლებელია მრავალნაირად. განათლების საერთაშორისო სტანდარტებში პროფესიული კომპეტენტურობა

აღნიშნავს გარკვეული სტანდარტებით განსაზღვრული როლის შესრულების უნარს. პროფესიული კომპეტენტურობა, თავისი არსით, უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პრინციპების, სტანდარტების, კონცეფციების, ფაქტებისა და პროცედურების ცოდნა. პროფესიული კომპეტენტურობა არის (ა) ტექნიკური კომპეტენტურობის, (ბ) პროფესიული უნარებისა და (გ) პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის წესების/ნორმების ერთობლიობა და მათი ერთობლივად გამოყენება.

- ა3. უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესი საწყისი პროფესიული განვითარების პროცესის გაგრძელებაა. საწყისი პროფესიული განვითარება არის სწავლისა და განვითარების პროცესი, რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატები, უპირველეს ყოვლისა, ეუფლებიან კომპეტენტურობის იმ დონეს, რაც აუცილებელია პროფესიონალი ბუღალტრის როლის შესასრულებლად. უწყვეტი პროფესიული განვითარება კი არის სწავლისა და განვითარების პროცესი, რომელიც მიმდინარეობს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულების შემდეგ და რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტრები განვითარებენ და ინარჩუნებენ პროფესიული კომპეტენტურობის ისეთ დონეს, რაც მათ თავიანთი როლის/ფუნქციების მუდმივად კომპეტენტურად შესრულების შესაძლებლობას აძლევს. უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამა უზრუნველყოფს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში პროფესიონალი ბუღალტრების მიერ შეძენილი (ა) პროფესიული ცოდნის, (ბ) პროფესიული უნარების, (გ) პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევის ნორმებისა და (დ) კომპეტენტურობის უწყვეტ განვითარებასა და სათანადო დონეზე სრულყოფას, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ პროფესიონალმა ბუღალტრებმა შეასრულონ პროფესიული საქმიანობა და დაკისრებული ვალდებულებები.
- ა4. როგორც აღნიშნულია გსს 7-ში<sup>5</sup>, უწყვეტი პროფესიული განვითარება მოიცავს პრაქტიკულ გამოცდილებასაც. ვინაიდან გარიგების პარტნიორის სამუშაო/ფუნქციები ვითარდება, პრაქტიკული გამოცდილება სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს აუცილებელი სიღრმისა და მასშტაბის პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებისა და შენარჩუნების საქმეში. პრაქტიკული გამოცდილების დამოწმება შესაძლებელია ყოველწლიური პირადი დეკლარაციებით, ანაზღაურებადი ნამუშევარი საათების ჩანაწერებით და ასევე ხარისხის მონიტორინგის ღონისძიებების შედეგებით, როგორცაა, მაგალითად ატესტაცია, გარიგების ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვა და მარეგულირებელი შემოწმებები (ინსპექტირება).
- ა5. პროფესიული კომპეტენტურობისა და პრაქტიკული გამოცდილების გარდა, არსებობს სხვა ფაქტორებიც (რომლებიც სცილდება წინამდებარე გსს-ის მოქმედების სფეროს), რომლებიც განსაზღვრავს, პროფესიონალ ბუღალტერს, აუცილებლობის შემთხვევაში, სათანადო უფლება-მოსილება მინიჭებული აქვს თუ არ პროფესიული ორგანიზაციისგან, საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ორგანოსგან, რათა მან შეასრულოს გარიგების პარტნიორის როლი/ფუნქციები.
- ა6. ბევრ იურისდიქციაში, კანონმდებლობა ან მარეგულირებელი ორგანო (ერთად ეწოდება „ლიცენზირების სისტემა“) ადგენს მოთხოვნებს ან უზრუნველყოფს მოთხოვნების შესრულებას იმის თაობაზე, ვის აქვს გარიგების პარტნიორის ფუნქციების შესრულების უფლება. ლიცენზირების სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისი მოთხოვნებით. იმ იურისდიქციებში, სადაც ლიცენზირება არ შედის ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის უფლებამოსილებაში, ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, როგორც აღწერილია წევრობის ვალდებულებაში (წვ) 2 – „პროფესიონალი ბუღალტრების განათლების საერთაშორისო სტანდარტები და ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების

5. გსს 7 – „უწყვეტი პროფესიული განვითარება“ (2014), მე-5 პუნქტი.



საბჭოს მიერ გამოცემული სხვა ოფიციალური დოკუმენტები“<sup>6</sup>, რათა ლიცენზირების სისტემაზე შემოქმედება მოახდინონ იმგვარად, რომ ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციამ შეძლოს წინამდებარე გსს-ით პროფესიული კომპეტენტურობისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.

- ა7. ფირმა, რომელიც განმარტების თანახმად, ინდივიდუალურ პრაქტიკოს პროფესიონალ ბუღალტრებსაც მოიცავს, განსაზღვრავს, ვის შეუძლია ჩატარებული აუდიტის შედეგად აუდიტორული მოსაზრების გაცემა, როგორც ფირმის კანონიერ წარმომადგენელს. ფირმების უმეტესობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა ამხანაგობა და ამხანაგობის პარტნიორები განსაზღვრავენ, ვის შეუძლია გარიგების პარტნიორის ფუნქციების შესრულება.


*დაინტერესებული მხარეები, რომლებიც გავლენას ახდენენ გარიგების პარტნიორების პროფესიულ კომპეტენტურობაზე*

- ა8. 1-ელ სქემაზე ნაჩვენებია დაინტერესებული მხარეები, რომლებიც გავლენას ახდენენ გარიგების პარტნიორების პროფესიულ კომპეტენტურობაზე. დაინტერესებულ მხარეთა შორის ურთიერთობები შეიძლება დამოკიდებული იყოს იურისდიქციის მოთხოვნების სპეციფიკაზე, ან გამომდინარეობდეს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტების მოთხოვნებიდან და ბსფ-ის ოფიციალურ დოკუმენტებში გათვალისწინებული ვალდებულებებიდან.

---

6. ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ წევრობის ვალდებულება (წვ) 2-ში – „პროფესიონალი ბუღალტრების განათლების საერთაშორისო სტანდარტები და ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული სხვა ოფიციალური დოკუმენტები“ – განსაზღვრულია მოთხოვნები ბსფ-ის წევრი ორგანიზაციისთვის, ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებთან მიმართებით. ზემოაღნიშნული წევრობის ვალდებულება (მე-9 პუნქტი) კონკრეტულად ეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც ბსფ-ს წევრ ორგანიზაციას საერთოდ არ გააჩნია პროფესიონალი ბუღალტრების განათლების სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების აღიარებისა და დანერგვის პასუხისმგებლობა, ან სხვა ორგანოსთან ერთობლივად აკისრია ამგვარი პასუხისმგებლობა.

სქემა 1: დაინტერესებული მხარეები, რომლებიც გავლენას ახდენენ გარიგების პარტნიორების პროფესიულ კომპეტენტურობაზე



- ურთიერთობა, რომელსაც იურისდიქციის სპეციფიკა განსაზღვრავს.
- ურთიერთობა, რომელიც დამოკიდებულია ბსფ-ის, აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსა და ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ოფიციალურ დოკუმენტებზე.

- ა9. გსს 7-ის<sup>7</sup> შესაბამისად, ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა ყველა პროფესიონალ ბუღალტერს უნდა მოსთხოვონ უწყვეტი პროფესიული განვითარება ისეთი დონის, რაც ხელს შეუწყობს მათი სამუშაო ადგილისა და პროფესიული მოვალეობების შესაფერისი პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებასა და შენარჩუნებას.
- ა10. გსს 7<sup>8</sup> ასევე მოითხოვს, რომ ბსფ-ის წევრმა ორგანიზაციებმა დანერგონ სისტემური პროცედურული პროცესი, რათა (ა) გააკონტროლონ, პროფესიონალი ბუღალტრები ასრულებენ თუ არა ბსფ-ის წევრი ორგანიზაციის მიერ დადგენილ უწყვეტი პროფესიული განვითარების მოთხოვნებს.
- ა11. ასს 220<sup>9</sup>-ში განხილულია გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობები იმის უზრუნველყოფაზე, რომ სამუშაო ჯგუფსა და აუდიტორის იმ ექსპერტებს, რომლებიც არ არიან ამ სამუშაო ჯგუფის წევრები, ერთობლიობაში უნდა გააჩნდეთ სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები. ასს 220-ში<sup>10</sup> მითითებულია, რომ თუ ფირმის ან სხვა მხარეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში სხვაგვარი რეკომენდაცია არ არის მოცემული, სამუშაო ჯგუფს უფლება აქვს, ენდოს (დაეყრდნოს) ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემას, რომელიც დაკავშირებულია პერსონალის კომპეტენტურობის უზრუნველყოფასთან მათი დაქირავებისა და ფორმალური პრაქტიკული მომზადების პოლიტიკის მეშვეობით.
- ა12. ხკსს 1<sup>11</sup> მოითხოვს, რომ ფირმამ დააწესოს ისეთი პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მას დასაბუთებული რწმუნებით იმისა, რომ ფირმას ჰყავს საჭირო კომპეტენციის, შესაძლებლობებისა და ეთიკური პრინციპების ერთგული საკმარისი პერსონალი, (ა) რომელიც გარიგებებს შეასრულებს პროფესიული სტანდარტების, სათანადო მარეგულირებელი და საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად და (ბ) ფირმა და გარიგების პარტნიორები შეძლებენ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი დასკვნების გაცემას.
- ა13. ბევრ იურისდიქციაში შეიძლება მარეგულირებელ ორგანოებს ევალებოდეთ ბსფ-ის წევრი ორგანიზაციების, ფირმებისა და გარიგების პარტნიორების საქმიანობაზე ზედამხედველობის გაწევა.
- ა14. წინამდებარე გსს-ით განსაზღვრული მოთხოვნებისა და წევრობის 1-ლი<sup>12</sup> და მე-2<sup>13</sup> ვალდებულების დოკუმენტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ბსფ-ის წევრი ორგანიზაციები ფირმებს ეხმარებიან ხკსს 1-ის მოთხოვნების შესრულებაში, ხოლო გარიგების პარტნიორებს – ასს 220-ის მოთხოვნების შესრულებაში. ეს დოკუმენტები ერთობლიობაში ხელს უწყობს გარიგების პარტნიორისა და სამუშაო ჯგუფის პროფესიულ კომპეტენტურობასთან დაკავშირებული მოთხოვნების სიცხადეს და ერთგვაროვან ინტერპრეტაციას, რაც საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურება.

*პროფესიული კომპეტენტურობის განვითარებადი ბუნება*

- ა15. ისეთ რთულ სიტუაციებთან გამკლავება, რომლებსაც შეიძლება წააწყდნენ გარიგების პარტნიორები პროფესიულ საქმიანობაში, მხოლოდ იმ პროფესიონალ ბუღალტრებს შეუძლიათ რომლებმაც განივითარეს და შეინარჩუნეს პროფესიული კომპეტენტურობის ისეთი დონე, რომლის დემონსტრირებაც შესაძლებელია „ა“ ცხრილში ჩამოთვლილი სწავლის შედეგებით. პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც ისწრაფვის გარიგების პარტნიორად გახდომას, ჩვეულებრივ, რამდენიმე წლის მანძილზე მუშაობს გარიგების სამუშაო ჯგუფთან და შეიძლება ვითარდებოდეს საზედამხედველო და მენეჯერული ფუნქციების შესრულების მეშვეობით, რაც ხორციელდება გარიგების პარტნიორის ზედამხედველობით. ამგვარი განვითარება, პასუხისმგებლობის დონეების თანდათანობითი ზრდით, ჩვეულებრივი გზაა, რომლის მეშვეობით პროფესიონალი ბუღალტერი შეიძლება მოემზადოს გარიგების პარტნიორის მოვალეობების

7. იხ გსს 7 – „უწყვეტი პროფესიული განვითარება“ (2014)“ – მე-12 პუნქტი.  
 8. იხ გსს 7 – „უწყვეტი პროფესიული განვითარება“ (2014)“ – მე-17 პუნქტი.  
 9. იხ ასს 220 – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“, მე-14 პუნქტი.  
 10. იხ ასს 220 – „ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის კონტროლი“, პუნქტი გ2.

საკუთარ თავზე აღებისთვის. ის პროფესიონალი ბუღალტრები, რომლებიც მუშაობენ გარიგების პარტნიორებად, პროფესიული კომპეტენტიურობას ივითარებენ და ინარჩუნებენ იმით, რომ ხელმძღვანელობენ ან ემსახურებიან აუდიტის ჩატარებას, ასევე პროფესიული განვითარების სხვა ღონისძიებების მეშვეობით, უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის ფარგლებში.

#### *ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და სხვა მარწმუნებელი გარიგებები*

ა16. წინამდებარე გვს ეხება გარიგების პარტნიორებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. პროფესიული კომპეტენტიურობა, რომლის დემონსტრირებაც შესაძლებელია „ა“ ცხრილში აღწერილი სწავლის შედეგების მეშვეობით, შეიძლება ასევე შესაფერისი იყოს გასული პერიოდების სხვა ფინანსური ინფორმაციის აუდიტისთვისაც, რომელიც ტარდება ასს-ების შესაბამისად, ან სხვა ტიპის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების შესასრულებლად. ანალოგიურად, პროფესიული კომპეტენტიურობის დიდი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, შეიძლება ასევე შესაფერისი იყოს გარიგების იმ პარტნიორებისთვისაც, რომლებიც პასუხისმგებლები არიან არაფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ მარწმუნებელ გარიგებებზე, როგორცაა, მაგალითად მარწმუნებელი გარიგებები გარემოს დაცვის, ან სოციალურ მაჩვენებლებთან მიმართებით.

#### **მიზანი (იხ. მე-7 პუნქტი)**

ა17. პროფესიული კომპეტენტიურობის იმ ღონის/მოცულობის განსაზღვრა, რომელიც უნდა განვიტარონ და შეინარჩუნონ პროფესიონალმა ბუღალტრებმა გარიგების პარტნიორის მოვალეობების შესასრულებლად, რამდენიმე მიზანს ემსახურება: იცავს საზოგადოებრივ ინტერესებს; ხელს უწყობს აუდიტის ხარისხისა და გარიგების პარტნიორების მუშაობის ხარისხის ამაღლებას და აუდიტის პროფესიის მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას.

ა18. წინამდებარე სტანდარტი ეყრდნობა იმის დაშვებას, რომ გარიგების პარტნიორებს პროფესიული კომპეტენტიურობა უკვე განვითარებული აქვთ ისეთ დონეზე, რომ შეუძლიათ გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. თუმცა, მეორე მხრივ, გარემო, სადაც მათ უწევთ საქმიანობა, მნიშვნელოვნად იცვლება. ცვლილებების აუცილებლობას შეიძლება მრავალი ფაქტორი განაპირობებდეს, მათ შორის (ა) რეგულირების გაძლიერება, (ბ) ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების განვითარება, (გ) ახალი ტექნოლოგიები (დ) ბიზნესის ანალიზის სულ უფრო მზარდი გამოყენება და (ე) მეწარმე სუბიექტების სტრუქტურის სირთულე. ამგვარი ცვლილებები გარდუვალად მოითხოვს, რომ გარიგების პარტნიორებმა პროფესიული საქმიანობის მანძილზე შეინარჩუნონ და კიდევ უფრო მეტად, დამატებით განვიტარონ პროფესიული კომპეტენტიურობა.

#### **მოთხოვნები (იხ. პუნქტები 8–9)**

- 
11. იხ. ხკსს 1 – „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“, 29-ე პუნქტი.
  12. წევრობის ვალდებულების დოკუმენტი (წკ) 1 – „ხარისხის უზრუნველყოფა“ – ადგენს ბსფ-ის წევრი ორგანიზაციისთვის მოთხოვნებს იმ წევრების ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვის სისტემებთან დაკავშირებით, რომლებიც ატარებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, მიმოხილვასა და სხვა სახის მარწმუნებელ და დაკავშირებულ მომსახურების გარიგებებს. აღნიშნული დოკუმენტი კონკრეტულად ეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც ბსფ-ს წევრი ორგანიზაციის საერთოდ არ გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის მიმოხილვის სისტემასთან დაკავშირებული წესების დადგენისა და ამ სისტემის ამოქმედების პასუხისმგებლობა, ან სხვა ორგანოსთან ერთობლივად აკისრია ამგვარი პასუხისმგებლობა.
  13. წევრობის ვალდებულების დოკუმენტი (წკ) 2 – „პროფესიონალი ბუღალტრების განათლების საერთაშორისო სტანდარტები და ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული სხვა ოფიციალური დოკუმენტები“ – განსაზღვრულია მოთხოვნები ბსფ-ის წევრი ორგანიზაციისთვის, ბუღალტერთა განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებთან მიმართებით. ზემოაღნიშნული წევრობის ვალდებულება კონკრეტულად ეხება ისეთ სიტუაციას, როდესაც ბსფ-ს წევრი ორგანიზაციის საერთოდ არ გააჩნია პროფესიონალი ბუღალტრების განათლების სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების აღიარებისა და დანერგვის პასუხისმგებლობა, ან სხვა ორგანოსთან ერთობლივად აკისრია ამგვარი პასუხისმგებლობა.

- ა19. „ა“ ცხრილში განხილულია კომპეტენტურობის სფეროები და შესაბამისი სწავლის შედეგები ტექნიკური კომპეტენტურობის, პროფესიული უნარების, პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევითვის. კომპეტენტურობის სფერო არის ცოდნის ესა თუ ის კატეგორია, რომლისთვისაც შესაძლებელია სწავლის გარკვეული, შესაბამისი შედეგების განსაზღვრა.
- ა20. სწავლის შედეგები ადგენს ცოდნის შინაარსსა და სიღრმეს და პროფესიონალ ბუღალტერს მოეთხოვება კომპეტენტურობის თითოეული კონკრეტული სფეროს ცოდნა და გამოყენება. სწავლის შედეგების მიღწევა არის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომა, რომელიც გამოიყენება უწყვეტი პროფესიული განვითარების მიღწევების შესაფასებლად. უწყვეტი პროფესიული განვითარების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები უფრო დეტალურად არის განხილული გსს 7-ში.
- ა21. წინამდებარე გსს (მისი მოთხოვნები) ეყრდნობა სწავლის შედეგებს, რომელიც გვიჩვენებს პროფესიული კომპეტენტურობის იმ სფეროებს, რომლის მიღწევაც მოეთხოვებათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას, როგორც ეს განხილულია გსს 2-ში, გსს 3-სა და გსს 4-ში.<sup>14</sup>
- ა22. „ა“ ცხრილში განხილული სწავლის შედეგების გარდა უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმილი ღონისძიების ხასიათზე, ჩატარების ვადებსა და მოცულობაზე შეიძლება სხვა ფაქტორებიც ახდენდეს გავლენას. სხვასთან ერთად, ამგვარ ფაქტორებს განეკუთვნება, მაგალითად: (ა) აუდიტირებული სუბიექტების პორტფელი ამა თუ იმ გარიგების პარტნიორის, (ბ) აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებში შესული ცვლილებების მოცულობა და (გ) ნებისმიერი ცვლილების გავლენა „ა“ ცხრილში აღწერილ კომპეტენტურობის სხვა სფეროების შინაარსზე.
- ა23. წინამდებარე გსს ეყრდნობა იმის დაშვებას, რომ გარიგების პარტნიორები აგრძელებენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას იმ სუბიექტების აუდიტის სირთულის შესაბამისად, რომლებსაც ემსახურებიან როგორც გარიგების პარტნიორები, იმ სუბიექტების სიდიდისა და სპეციფიკის მიუხედავად, რომლებსაც გარიგების პარტნიორი აუდიტს უტარებს.
- ა24. ბსფ-ის წევრ ორგანიზაციებს კომპეტენტურობის მოთხოვნებში შეუძლიათ კომპეტენტურობის დამატებითი სფეროები ჩართვა, ან გარიგების პარტნიორებისთვის დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევის მოთხოვნა, რომლებიც განსაზღვრული არ არის წინამდებარე გსს-ში. ამის გაკეთება შეიძლება იმ შემთხვევაში განდეს საჭირო, როდესაც გარიგების პარტნიორი სპეციალიზებული დარგების ან ოპერაციების აუდიტს ატარებს.

*ინდივიდუალური პრაქტიკოსი პროფესიონალი ბუღალტრები და მცირე და საშუალო ფირმები*

- ა25. წინამდებარე გსს პროფესიონალი ბუღალტრის მხოლოდ ერთ როლს ეხება და არა მთელ სამუშაო ჯგუფს ან ფირმის სტრუქტურას და აღიარებულია, რომ გარიგების პარტნიორი საქმიანობს მრავალ განსხვავებულ სიტუაციაში, მათ შორის, როგორც ინდივიდუალური პრაქტიკოსი, ან მცირე ან საშუალო ზომის ფირმაში.<sup>15</sup> ასეთ ვითარებაში, გარიგების პარტნიორს შეიძლება მუშაობა მოუწიოს სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერის გარეშე, მათ შორის ისეთი სამუშაო ჯგუფის გარეშე, რომლის წევრებსაც გააჩნიათ სპეციალიზებული უნარები. ამის გამო, გარიგების პარტნიორი შეიძლება უშუალოდ თვითონ ასრულებდეს აუდიტში მრავალნაირ სამუშაოს, რისი გაკეთებაც სხვა შემთხვევაში მას არ დასჭირდებოდა.

*აუდიტი – სწავლის შედეგები*

14. გსს 2 – „საწყისი პროფესიული განვითარება – ტექნიკური კომპეტენტურობა“ (2015); გსს 3 – „საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული უნარები“ (2015) და გსს 4 – „საწყისი პროფესიული განვითარება – პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა“ (2015).

15. ბსფ-ის მცირე და საშუალო ფირმების კომიტეტი მცირე და საშუალო ფირმებს განმარტავს შემდეგნაირად: „ფირმა, რომელსაც გააჩნია შემდეგი მახასიათებლები: ფირმის დამკვეთების უმეტესობა მცირე და საშუალო საწარმოები არიან; იგი გარე რესურსებს იყენებს საკუთარი შეზღუდული საფირმო ტექნიკური რესურსების შევსების მიზნით და ფირმაში დასაქმებულია შეზღუდული რაოდენობის პროფესიული პერსონალი“.

ა26. ხელმძღვანელობის გაწევა არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენისა და შეფასების პროცესისთვის მოიცავს შემდეგი საკითხების განხილვას:

- გარიგებაზე დათანხმებასა და გარიგების გაგრძელებასთან დაკავშირებული პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკების განხილვას;
- სამეურნეო სუბიექტის უნარის – განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ – განხილვას; და
- თაღლითობითა და შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების განხილვას.

ა27. არსებითი უზუსტობის რისკებზე რეაგირების მიზნით განხორციელებული ზომების/ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შეფასება მოიცავს აუდიტის სათანადო სტრატეგიის დამტკიცებას ან განსაზღვრას.

ა28. იმის შეფასება, აუდიტი ჩატარდა და დოკუმენტურად გაფორმდა თუ არა აუდიტის სათანადო სტანდარტებისა (მაგ., ასს-ების) და შესაფერისი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, მოიცავს:

- მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის საკმარისობისა და შესაფერისობის შეფასებას;
- შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებისა და სხვა საკითხების განხილვას, რომელთა შესახებაც ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებს; და
- ხელმძღვანელობის მიერ გამოთვლილი სააღრიცხვო შეფასებებისა და სხვა ისეთი საკითხების მიკერძოებულობის განხილვას, რომლებიც საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან მნიშვნელოვან განსჯას და გადაწყვეტილების მიღებას.

*ორგანიზაციული უნარები – სწავლის შედეგები*

ა29. აუდიტორის ექსპერტის სამუშაოს გამოყენება, სხვასთან ერთად, შეიძლება საჭირო გახდეს შემდეგ სფეროებში: საგადასახადო დაბეგვრა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, იურიდიული საკითხები, სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზა, შეფასებები, აქტუარული მომსახურება და პენსიების აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხები.

*პროფესიული სკეპტიციზმი და პროფესიული განსჯა – სწავლის შედეგები*

ა30. ნებისმიერი აუდიტის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია, რომ აუდიტორმა უნდა შეაფასოს, მოიპოვა თუ არა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმ დასკვნების გასამყარებლად, რომლებსაც დაეყრდნობა აუდიტორის მოსაზრება. პროფესიული სკეპტიციზმი გულისხმობს, რომ აუდიტორი ეჭვქვეშ აყენებს მიღებულ ინფორმაციას, აუდიტორული მტკიცებულებების კრიტიკულად შეფასების მიზნით. ასს-ები ასევე მოითხოვს, რომ გარიგების პარტნიორმა და მისმა ჯგუფმა მიმართოს პროფესიული განსჯას ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში. მაგალითად, პროფესიული განსჯა საჭიროა, როდესაც ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ხელმძღვანელობის რთულ, კომპლექსურ მტკიცებებსა და დაშვებებს; როდესაც აუდიტორი იხილავს, სუბიექტმა სათანადოდ გამოიყენა თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები ან განსაზღვრავს/ამუშავეს აუდიტის სათანადო საერთო სტრატეგიას.

ა31. ეფექტური უწყვეტი პროფესიული განვითარება პროფესიული სკეპტიციზმისა და პროფესიული განსჯის სფეროებში მოითხოვს სწავლების სხვადასხვა მეთოდის შეხამებას, რომლის დროსაც მენტორობა, რეფლექსია და პრაქტიკული გამოცდილება სამუშაო გარემოს კონტექსტში სწორად გადამწყვეტ როლს თამაშობს.